

ოკრანო სპ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.  
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

# ფრეზა

832  
1965

NOTRE DRAPEAU

დაარსებულია ნოე ჟორჯიანიანის მიერ.

N° 43

Directeur: MICHEL STOUROUA.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

რაქდენ (მიშა) არსენიძის ხსოვნას.  
რ. არსენიძის გარდაცვალება და დაკრძალვა.  
სამძიმრის წერილები და დეპეშები.  
დავით სხირტლაძე.  
ვალერიან ახვლედიანი.

პარიზი.

დეკემბერი.

Paris.

1965

## რატონი (მრვა) არსენიის ხსოვნას

... და გზა უვალი შენგან თელილი  
მერანო ჩემო მაინც დარჩება!  
ნ. ბატაიასვილი.

რატონი დაიბადა 1880 წლის 1 ოქტომბერს სოფელ სო-ჩხეთში, ტყიბულის რაიონი. ჯერ დაამთავრა ქუთაისის სასუ-ლიერო სემინარია, შემდეგ იურიევის უნივერსიტეტში იური-დიული ფაკულტეტი.

რატონი არსენიძე ეკუთვნოდა იმ სასახლო თაობას, რო-მელსაც ჯერ მესამე დასისა და შემდეგ საქართველოს სოც-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ ნოე ჟორდანიას და სილიბისტრო ჯიბლაძის მეთაურობით მოუხდა მოღვაწეო-ბა. და რომლის წევრებმა თავიანთი თავგანწირული მოღვა-წეობით დიდათ შეუწყვეს ხელი ქართველი მშრომელი ხალ-ხის ორგანიზაციულად შეკავშირებას; რომლებთან შესაფერ-ისტორიულ მომენტში ერთად ჩადგნენ ქართველი ერის სამ-სახურში.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ სასახლო თაობას (რომელსაც ხალხმა 1905 წელში ახალი თაობა დაარქვა), საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილი დაეთმობა.

მათი ენერგიული ბრძოლის ერთი თვალსაჩინო შედეგთა-განი იყო 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლო-ბის გამოცხადება «ცარისტულ» რუსეთის 117 წლის დომინა-ციის შემდეგ.

რატონი ერთი პირველთაგანი და მნიშვნელოვანი წევრი იყო იმ შტაბისა, რომელიც ამ განმათავისუფლებელ ბრძო-ლას ხელმძღვანელობდა.

ახალგაზღვობიდანვე რატონს ენდობა ფრიად საპასუხის-მგებლო დავალებანი:

ჯერ ქურნალ «კვალი»-ს რედაქციაში კაკი წერეთელთან ერთად მას დაეკისრა ქურნალის ხელმძღვანელობა და ამავე დროს პარტიულ «იარაღებში» პრპაგანდის გაწევა და შეძ-ლების და მიხედვით საჯარო გამოსვლები, რომელსაც ის მა-ღალი ღირსებით ატარებდა ცხოვრებაში.

რატონის თანამედროვენი იგონებენ მის შესანიშნავ გა-მოსვლებს 1905-ში გაზაფხულზე, ქ. ბათუმში, როცა ბათუმის სოციალდემოკრატიულმა კომიტეტმა მოახერხა მიეღო ნე-ბართვა ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტისაგან, რათა მოეწყო თავისუფალი საჯარო მიტინგები და ანით თავიდან აეცილებია ბათუმის რაიონში მოსალოდნელი სომეხ თათარ-თა ურთიერთ შორის ხოცვა-ჟლეტა.



რადვენ არსენიძე

ეს მიტინგები იმართებოდა მთელი კვირის განმავლობაში ბათუმის ქალაქის თვითმართველობის ფართე ეზოში და ამის შედეგად იყო რომ ბათუმის რაიონში არ მომხდარა სომეხ-თათართა შორის სისხლის ღვრა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ კავკასიის ქალაქებში ვერ ასცდენ ამ საშინელებას და რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია.

ამ მიტინგების ხელმძღვანელი და მთავარი ტონის მიმცემი იყო რაქდენ არსენიძე, მაშინ 24—25 წლის ახალგაზდა. მას ხელს უწყობდა, როგორც მისი სიმპატიური გარეგნობა, ისე მისი მჭექარე ხმა და პათოსით წარმოთქმული მგზნებარე სიტყვები.

რეაქციის ხანაში ის რედაქტორობდა «სოციალდემოკრატიულ ლეგალურ გაზეთებს, რომლებიც მთავრობის განკარ-

30277

გულებით ხშირად იკეტებოდა და ერთი დაკეტილის ადგილას, უკვე მზათ ახალი სახელწოდების გაზეფი გამოდიოდა. მაშინდელი თაობის ხალხს ახლაც ემანსუერებათ ამ გაზეთების სახელები: «სხივი», «ლამპარი», «მერცხალი», «ჩვენი დროება», «განთიადი» და ბევრი სხვა.

ამხანაგების დავალებით რაქდენი ერთხანს მეოთხე დუმის სოციალდემოკრატიულ ფრაქციაშიც მუშაობდა პეტროგრადში.

1917 წლის რევოლუციამ მას ციმბირში მოუსწრო, საიდანაც მაშინვე სამშობლოში ჩამოვიდა და აღმშენებლობით მუშაობაში ჩაება: რედაქციაში, მუშათა დეპუტატების საბჭოში, ქართულ საბჭოში თუ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, როგორც დეპუტატი—იყო პირველხარისხოვანი ორატორი. შემდეგ ეროვნულ მთავრობაში, როგორც იუსტიციის მინისტრი. ამავე დროს ის იყო წევრი საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ის ყველგან საქირო იყო და ყველგან გულმოდგინეთ ეწეოდა მუშაობას.

მისი მთავარი მონაწილეობით შედგენილ იქმნა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი.

მისივე თაოსნობითაა შედგენილი «საქართველოს კონსტიტუცია», რომელიც დამფუძნებელ კრებამ მიიღო თავის უკანასკნელ დღეებში.

1921 წელს ემიგრაციაში, ქ. სტამბოლში, რაქდენის რედაქტორობით გამოდიოდა უურნალი «თავისუფალი საქართველო». ამავე დროს ის იყო წევრი, იმ დროს არსებული ქართული: «სტამბოლის პოლიტიკური კომისიისა», რომელსაც ნოე ხომერიკი თავმჯდომარეობდა.

1923 წლიდან ის პარიზში ჩამოდის და ერთხანს მდივანია საზღვარგარეთის სოც.-დემ. პ. ბიუროსი.

1953 წლიდან—1962 წლამდე რაქდენი იყო რადიო «თავისუფლების» ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორათ, რომელ მოვალეობასაც ის მისთვის ჩვეულებრივი მაღალი ღირსებით ასრულებდა და საყოველთაო დიდი სიყვარული მოიპოვა.

პარალელურად ის ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც: მისმა მეცნიერულმა შრომამ—«განხილვა ვახტანგ მე-VI კანონებისა», რომელიც 1963 წელს გამოიცა, საერთო მოწონება დაიმსახურა.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რაქდენმა ბევრი ჰქმნა, რათა «გაეთელა გზა უვალი, რომ მოძმეს მასზე სვლა გაადვილებოდა» და იმავე ბარათაშვილის სიტყვები ცოტა შებრუნებით რომ ვიხმართ შეგვიძლია თამამათ ვთქვათ: «იყო სოფელში და სოფელსა ბევრი რამ არგო».

მან წარუშლელი ხსოვნა დატოვა ჩვენში.

## რადიო (მიხ) არხების გარდაცვალება და დაკრძალვა.

ვერ კიდევ მიუნხენში ყოფნის დროს, როდესაც რადიო რადიო თავისუფლების ქართული რედაქციის რედაქტორი და ხელმძღვანელი იყო, მას გულის ავადმყოფობა დასჩემდა. 1962 წელს გადმოსახლდა საფრანგეთში და ცხოვრობდა ლევილის შატოში. პაერის გამოცვლა, დასვენება, ამხანაგებთან და მეგობრებთან ახლო ყოფნა ცოტათი მოუხდა. თავს კმაყოფილად გრძობდა. ხალისით ღებულობდა მონაწილეობას პარტიულ და არაპარტიულ ქართულ საქმიანობაში. მისი ოთახის კარი ყველა ქართველისათვის ღია იყო. სიამოვნებას გრძობდა ქართველ პატრიოტებთან შეხვედრას; მათთან ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამზე ბაისში თავის ბრძნულ და ცხოვრებაში გამოცდილ აზრებს, მსმენელებს უზიარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმობა და წამალი არ დაჰკლებია. ხანჯანობა მაინც მის სიჯანსაღეზე დაღს ასვამდა: დაეწყო ფეხების სიმსივნე, გულის სისუსტე გაუძლიერდა. ამ მდგომარეობამ ვერ შეასუსტა ვერც მისი გაუტეხავი სული და ვერც მისი ნათელი აზრი. მას სიკვდილის არ ეშინოდა, ხშირად იტყოდა ხოლმე: ბებერი ვარ, უნდა მოვკვდე, ცას ხომ არ შევებერდებიო. მის ახლობელ მეგობრებს ისიდორე ქარსელაძეს და ვალიკო ახვლედიანს დაუტოვა ანდერძათ; ჩემი დაკრძალვის დღეს ქელები უნდა გამართოთო. რისთვისაც სათანადო თანხაც გადასდო.

ხშირად იგონებდა თავის მუშაობას მიუნხენის რადიო თავისუფლებაში და სწუხდა, რომ მას აღარ შეუძლიან პირდაპირ ელაპარაკოს რკინის ფარდის იქით მომწყვდეულ ქართველ ხალხს.

1965 წლის 24 მაისს ნაშუადღევს ჩვენი რადიო თავისუფლების საწოლ ოთახში გარდაიცვალა. მისმა ჭირისუფლებმა—მეგობრებმა ეს გლოვის ამბავი რადიონის ძმას საქართველოში დეპეშით აცნობეს. ქართულ ემიგრაციაში მისმა გარდაცვალებამ ყველა ჩვენი ქვეყნის პატრიოტი დაალონა და დაამწყუხარა.

დაკრძალვა მოხდა შაბათ 29 მაისს, 13 საათიდან თავის იყრიან მისი პატივისმცემლნი შატოს დარბაზში, სადაც ასვენია რადიონის კუბო, გადაფარებული ქართული დროშით და შემკობილი შემდეგი გვირგვინებით: მიუნხენიდან რადიო თავისუფლების ქართული რედაქცია, ამერიკული კომიტეტი (მიუნხენი), საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომო, საქარ. ს.-დემ. პარტია, ლევილ-სანჟერშენის ქართველები, კარ. ინსაროძის ოჯახი და სხვ...

15 საათზე დეკანოზმა მამა ილიამ რადიონის დასახასიათებლად წარმოსთქვა მეტად მგრძობიარე სიტყვა, რის შემდეგ გადაუხადა პანაშვიდი, რომლის დროს გალობდა ქალ-ვაჟთა გუნდი.

პანანვიდის შემდეგ წარმოთქმულ იქნა სიტყვები, რომელთაც, ცოტა შემოკლებით, ქვემოთ ვბეჭდავთ.

სიტყვების შემდეგ, რაქდენის ამხანაგებმა და მეგობრებმა, კუბო ხელით გამოიტანეს დარბაზიდან შატოს ალყაფის კარებამდე; აგრეთვე ხელით მიიტანეს სასაფლაოს კარებიდან სამარის მიწამდის, სადაც ცხედარი ჩაასვენეს მისივე წინასწარ გამზადებულ საკუთარ აკლდამაში.

ამ დროს განმავლობაში სასაფლაოდან დაბრუნებულთ შატოს დარბაზში დახვდათ გაშლილი გლოვის სუფრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელი საქართველოს ყოფ. მთავრობის წევრი ნოე ცინცაძე. სუფრაზედაც რაქდენის დასახასიათებლათ წარმოთქმული იყო მრავალი სიტყვები.

სუფრის შემდეგაც კარგა ხანს იყვნენ ჯგუფ-ჯგუფად რაქდენის მოგონებებით გართულნი.

## ნ. ცინცაძის სიტყვა.

... ჩვენი რაქდენის ცხოვრების გზა: 60 წლის მანძილზე განუწყვეტლივ ქვეყნის სამსახურში იყო ჩაბმული. იქ—ქართულ მიწაზე და შემდეგ აქ—უცხო მხარეს—ლტოლვილებში! ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, ჭაბუკი, ის ჩვენს ხალხს ევლინება, როგორც დაულაღავი მქადაგებელი ახალი იდეებისა; როგორც შეურიგებელი მებრძოლი რუსულ აბსოლუტიზმთან, ერისა და ადამიანის თავისუფლებისათვის და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლათ,—მაღე მისს, ჭეშმარიტად მაღლიან კალამს, მომართავს დასახულ—საკაცობრიო მიზნისაკენ და უქანასკნელ დღემდის მას ხელიდან არ გააგდებს.—ქურნალიზმი—მისი მეორე ბუნება გახდება.—შემდეგი ეტაპი მისი ცხოვრებისა გადაბმულია საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენა-დამკვიდრებასთან.—დამდუძნებელ კრებაში, პარლამენტარებთა რჩეულ პლეადაში მოექცევა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციას მისი კულტურისა და ცოდნის ბეჭედი აზის.

ცხოვრების მიწურულში მეცნიერული კვლევა-იება იზიდავს და ვახტანგ მეექვსეს კანონმდებლობის განხილვით თავის, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში.

რაქდენმა თავისი შეგნებული ცხოვრება დაიწყო, როგორც მაღალ—კუმანიტარულ იდეების მქადაგებელმა და ამ გზაზე ხალხის გათვითცნობიერებას მიუძღვნა თავისი ნიჭი და დაუსრუტელი ენერჯია.

ლტოლვილებში მას მიენიჭა იშვიათი შემთხვევა—მეტად დიდი მისსია, დიდი ნიჭით და უნარით შესრულებული ეთერის ტალღების გზით თავის საყვარელ ხალხს. ათი წლის ვასწერავ, ებაასება.

ამ რიგათ, იქ—უშუალო კონტაქტით; აქ—უხილავ ტალღებით მუდამ უამს მშობელ ერთან გრძნობდა თავს.

თვით არსება მისი ეროვნულ-საზოგადოებრივ აქტივობის ხომ იმას უნდა მოწმობდეს, რომ—მისი ღრმა შეგნებით—მთავარი ფაქტორი ერის განთავისუფლებისა თვით ხალხი და მისი ურყევი ნებისყოფა უნდა გამხდარიყო.

მკორედი ნიშანიც კი აღმოსავლეთით დამყარებული რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობისა, ეროვნულ, საკავშირო თუ საიმპერიო მასშტაბით მასში იმედის გარკვეულ რეზონანს, გამოძახილს იწვევდა.

შარშანდელი ამბები ფარდის იქეთ—ასეთივე ცხოველ შუქს ჰფენდა მის სულს და არსებას. ის გეშორდება იმ დროს, როცა, ერთხელ აშვებული ტალღა არ ჩავარდნილა. ხალხი, საბოლოო ანგარიშში, მას დაუფლებდა. პროცესი თავისუფლებისკენ შეუბრუნებელია!—ახალი ეკიპი მოსკოვის ოლიგარხიისა სისულტის და უძღურების მანიფესტაციაა. მარცხნივ წაიწევა,—მარცხს განიცდის. მარჯვნივ მიიხედავს,—შიში იპყრობს. შინა და გარე-პრობლემები ან გადაუწყვეტელი რჩება, ან მის გარეშე მიმდინარეობს. სისტემა ჩინში მოექცა. და აქ იბადება პერსპექტივა. პერსპექტივა საბჭოთა ტყვეობაში მყოფ ერებისა. პირველ ყოვლისა, ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ინტერესი იდეოლოგიას ჩრდილში აყენებს. ჩინეთი *espace vitalé*-ის ძიებაში გუშინ კიდევ უფროს ძმას უტევს და აწევდა.

აღმოსავლეთ-საშუალო ევროპის ერები, ე.წ. სატელიტები ემანსიპაციის გზას მეთოდიურად შესდგომია.—საბჭოთა კავშირის ყველა ერებში რეჟიმისადმი წინააღმდეგობის სული დღითი დღე იზრდება.—ცალკეული. სეპარატიული სვლა თავისუფლებისკენ აღარ ემთხვევა გარემოში შექმნილ მდგომარეობას...

ერთი სიტყვით. დიქტატურა დაქანების გზაზე შემდგარა, შორი-ახლოდან მისი დასასრულიც მოსჩანს.

აი, ყოველივე ამას კარგათ ხედავდა და ღრმით განიცდიდა რაქდენი.—ამიტომაც «მე არსად მიმეჩქარება»-ო, ხუმრობით იტყოდა ხოლმე განსვენებული. ბედის უკუღმართობამ კი დააჩქარა, რომ სანატრელი ბოლო არ ენახა. მისი მოახლოებისთვის დიდი ღვაწლი მიუძღვის მას, რასაც ერი დაუფასებს.

კეთილი და საუკუნო იყოს ჩვენი რაქდენის ხსენება.

ბ-ნ ლ. ზურაბიშვილის ხიტყვა.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი ლ. ზურაბიშვილი, სათვისტომოს სახელით ღრმამ წუხარებას გამოსთქვამს რაქდენ არსენიძის გარდაცვალების გამო.

მოკლეთ აღნიშნავს განსვენებულის ხანგრძლივ და თავდადებულ მუშაობას—ქართველი ერის კეთილდღეობისათვის.

### პ. ხარჯველიძის სიტყვა.

უსახლერო მწუხარებით ვშორდებით ადამიანს, რომელმაც თავის ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო ქართველი ხალხის სამსახურში. მის ფხიზელ გონებამ, მახვილმა სიტყვამ, ბუნებით დაჯილდოებულმა ნიჭმა ფრთა გაშალა მე-19 საუკუნის მიწურულში.—დაწყებულ საზოგადოებრივ ცხოვრების აზვირთებულ ტალღებში და მის შემდეგ დაუცხრომელ იმედითა და რწმენით ემსახურა ქართველ ხალხს, საკაცობრიო იდეალებს. მთელის თავის ცეცხლისებური ოპტიმიზმით გადაეშვა იგი ხალხურ მოძრაობის შორეულში, რომლის მიმრქმელნი, თეორიულ და პრაქტიკულ გზის მაჩვენებელნი წინა თაობიდან იყვნენ: ე. ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე, კ. ჩხეიძე, ნ. ჟორდანიძე და სხვები და სოციალდემოკრატიული პარტიის მეთაურობით თავის ზრუნვის საგნად გაიხადეს ხალხის ტკივილები, თავი მოუყარეს ხალხის დაპნეულ ნაჭადულებს, შთააგონეს დემოკრატიული იდეები, მიიციეს ერთი ეროვნული შაჯის ცემა—საქართველოს ყველა კუთხეს. ეზიარენ ერის უდიდეს მესაიდუმლოთა და მოჭირახულეთა მე E0 წლიანთა სოციალურ და ეროვნულ იდეებს... და ასე ამზადეს ფართე მასები იმ ბედნიერ დღისთვის, როცა შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მოსამზადებელ ხანაში რაჟდენ არსენიძე პირველად ჰოსჩანს ირაკლი წერეთელთან ერთად ცნობილ ჟურნალ «კვალის» ს ხელმძღვანელათ. პოლიტიკურ წერილების ავტორი, პროკლამაციების დამწერი, ბნელ სარდაფებში, გადასახლებაში, ციხესა და საიდუმლო ბინებზე—შეუჩერებელი მოძრაობა, მშფოთავი სტიქია იყო მისი მაცოცხლებელი. ამავე დროს მის გარშემო მყოფთათვის მანუგე შებელი და იმედის მიმცემი... ეროვნული დისციპლინით მოჰყვდილი მუხედა ერის ყველა ნაწილი თებერვლის ისტორიულ დღეებს, ისარგებლა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებით და აღადგინა ქართული სახელმწიფო. ბევრს ახსოვს ბედნიერ დღეებში—სასახლის აივნებიდან რაჟდენის სიტყვა-ყიჟინა.—აღფთვანებული თვალებით, ცეცხლის ფრქვევით—ქართველობას ისტორიულ აქტის მიღებას რომ ამცნობდა, საქართველოს ეროვნულ მონობიდან განთავისუფლებას, რომ ულოცავდა, და იგი გახდა ერთ უმთავრეს ფუძე მდებელთაგანი სახელ მწიფოებრივ ორგანოების ჩამოყალიბებისა და სამართლის თავდადებული დამცველი. როცა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, რაჟდენის გული,—უცხოეთში გახიზნული,—კვლავინდებურად დღღავდა ქართველი ერის ბედკრული ხვედრით.—მისი სული კვლავ სამშობლოს დახსნისთვის იბრძოდა და იტანჯებოდა... ამ მხრივ მისთვის უბედნიერესი წლებია, როცა მას ეძლევა საშვალეა რადიოთი თავის ქვეყანას ელაპარაკოს აქ კვლავ აღნთო მას ცეცხლი ჩაუქრობელი. თითუელი მისი გადაცემა იყო სიტყვა მურელი, ჰეშმარტების და სიმართლის მლა-



ლადებელი, ჩაგვრისა და შევიწროების მხილებელი, ქართველი ერისთვის იმედის მიმცემი. ათიოდე წლის მანძილზე მას არ გაუშვია არცერთი შემთხვევა რომ არ ემხილოს მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკა, არ ემხილოს უმთავრესად საქართველოს ეროვნული და სოციალური ცხოვრების დუხპირი პირობები, არ დაღევას მისი ბრწყინვალე წარსული და სადღესო სამართლიანი მოთხოვნილებანი.

ძვირფასო რაქდენ შენ შეუერთდი შენს ძვირფას მეგობრებს, რომლებსაც გადასცემ, რომ ქართველი ერი კვლავ უფლება აყრილია, მისი ეკონომიური ცხოვრება მოსკოვზე დამორჩილებულია, ჩვენი მიწა-წყალი უცხოელებით გავსებულია და რაც უმთავრესია საქართველოს სახე.—ერთა ოჯახიდან გამორიცხულია, მაშინ, როცა აღარ დარჩენილა არცერთი პატარა ერი. რომ თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება არ მოეწყოს... ამ დროს გარს უვლიან საქართველოს პოლიტიკურ ემიგრაციას, გვიხატავენ ჩვენი ქვეყნის გაბედნიერებას, რათა ჩაპკლან ქართველთა საპროტესტო ხმა. მაგრამ შენ მათ გადასცემ მანუგებელ და უტყუარ ნიშნებსაც, რომ დაწყებული ნგრევა კრემლის კედლებისა ღრმავდება. დღეს მოსკოვი ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული, უკვე მერყევი და ჩახუმებული, მისგან გაიცილებული დასავლეთის კარებზე—ხელგაშვრილი. შიგნით ეკონომიურ კრიზისების ჩიხში მომწყვდეული, ყრუთ მგმინავი—მასსიურ უკმაყოფილებებს გამო. — ხიშტით მაცოცხლებელი, ახლგაზდებიდან უკუგდებული— იდეოლოგიურ ფრონტზე—გაკოტრებული... ახლოდება უამი მისი აღსასრულის... ნგრევის პროცესი მიმდინარეებს ნელი ნაბიჯით მხოლოდ სინამდვილით—და დაპკრავს საათი საქართველოს განთავისუფლებისა, მაღლიერი ერი მოიგონებს თავის იუსტიციის მინისტროს რაქდენ არსენიძეს... დღეს კი ქართველი ერის მტერნი გაიხარებენ თავდადებულ ქართველის, ერის მოამაგის წაქცევით, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი ბრწყინვალე თაობის განშორებით ბრძოლის ფურცელი არ დახურულა.

თვით რაქდენმა თავის უკანასკნელ წერილში დაგვიტოვა ანდერძი:

«ჩვენ თამამად ვაცხადებთ, რომ იარაღი არ დაგვიყრია, ბრძოლა არ შეგვიწყვეტია, იგი გრძელდება და არ შეწყდება, სანამ ქართველი ხალხი არ მოიპოვებს თავისუფლებას, სანამ არ გაზდება სრული გამგე და პატრონი თავის მომავლის».

ეს ანდერძი ძვირფას რაქდენისგან დატოვებული იქნება შესრულებული მისგან დატოვებულ მებრძოლთა მიერ.

### კ. ინახაბიძის ხიტყვა.

ძვირფასო რაქდენ, გაიგეს რა თქვენი ამ ქვეყნიდან განშორება. ყველა ერის შვილები, თქვენი კოლეგები, მეგობრები და პატივისცემელები,—სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდაღო-კავკასიელები, უკრაინელები, ბელორუსები, რუსები,

თუჩქესტანელები, ამერიკელები და გერმანელები მოდიოდნენ ჩვენთან რედაქციაში და ღრმა მწუხარებას გამოთქვამდნენ თქვენი გარდაცვალების გამო.

რით დაიმსახურეთ თქვენ ეს საერთო სიყვარული და პატივისცემა?—თქვენი ადამიანობით, როგორც პირად ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ მე ვიტყვი, რომ თქვენ, ასე ხანგრძლივ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, იყავით პირდაპირი, შეუდრეკელი, თქვენი მრწამსის უკომპრომისო დამცველი, მშრომელი და, რაც მთავარია, დემოკრატი, ამით მე ახალს არაფერს ვამბობ, ვინაიდან თქვენი ეს სპეციაკი თვისებები, თქვენი დამსახურება ქართველი ერის წინაშე ყველასათვის ისედაც კარგად ცნობილია. მაგრამ ვფიქრობ, უცნობია, ნაწილობრივ მაინც, თქვენი შრომა და მოღვაწეობა ქართულ რადიორედაქციაში.

რამდენჯერ დაგკვირვებია, ძვირფასო რაქდენ, თქვენ სკრიპტის წერის დროს! როცა თქვენ კომენტარს წერდით ამა თუ იმ პოლიტიკურ თემაზე, მთელი თქვენი ორგანიზმი. ფსიქოლოგიურად და ფიზიოლოგიურად. თრთოდა, ტოტმანობდა, განიცდიდა ყოველ წინადადებას, ყოველ სიტყვას, ყოველ წერტილსა და მძიმეს; და, წარმოიდგინეთ, სიტყვას, რომელსაც თქვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდით, იმით უმატებდით «ძალას». რომ ფანქარს მაშინ ისეთი სიძლიერით დაწვებოდით, რომ მისი წვერი ქალაქის თითქმის მეორე მხარეს გადიოდა. ეს იყო არა წერა, არამედ «შინაგანი წვა». შინაგანი განცდა, რომლის დროს ანბანი არა მარტო თქვენი აზრის გამოთქმის არამედ, მას ზევით, სურათოვანი გამოსახვის საშუალება-მასალად ხდებოდა კამათის დროსაც იყავი ქარცეცხლი, დაუღალავი, დაუნდობელი. მაგრამ ლოგიკური.

თქვენ, ძვირფასო რაქდენ, როგორც კრუხი წიწილებს, ცდილობდით თქვენი დიდი ცოდნა და გამოცდილება გადმოგეცათ ჩვენთვის... მართალია. თქვენ იუპიტერი იყავით ჩვენს შორის, მაგრამ თქვენ ეს დაიმსახურეთ არა «ძალით», არამედ იმით, რომ იყავით. მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში, თავდადებული, დაუღალავი დაუზოგველი მსახური ჩვენი ერისა. ეს კი მხოლოდ დიდბუნებოვანი ადამიანის დამახასიათებელი თვისებებია.

ჩვენ, ქართული რადიორედაქციის წევრები რომლებიც თითქმის ათი წელი ვმუშაობდით თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ, ვუერთდებით რა ქართული საზოგადოების საერთო მწუხარებას,—ვგლოვობთ თქვენს ამ ქვეყნიდან სამუდამოთ წასვლას. ვიცით, რომ მოპოვება ისეთი ავტორიტეტისა, როგორც თქვენ გქონდათ არა მარტო რადიორედაქციაში, არამედ მთელ რადიოსადგურში, არცერთს ჩვენგანს არ ძალუძს. მაგრამ გვსურს გაუწყლოთ ის ფაქტი რომ ჩვენ ყველა ჩვენს მუშაობაში ვცდილობთ დავეყრდნოთ იმ მრწამს, რომელიც თქვენ დანერგეთ ჩვენს რედაქციაში. მართალია, თქვენ

დაიხრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...» სხარტი ხუმრობითვე გვიპასუხებდით ხოლმე: «ისე ავიშენდა თქვენ თავი!» მაგრამ, ვიცით, თქვენ გწამდათ, რომ «ისევე დაიხრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი», რომლებიც ჩვენს სამშობლოში განახორციელებენ 26 მაისის დიად იდეას და საქართველო ისევე მოიპოვებს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას, როგორც ეს მოხდა 1918 წლის 26 მაისს, რომელსაც თქვენ მთელი თქვენი ცხოვრება შესწირეთ.

მოისვენეთ, ძვირფასო რაჟდენ, თქვენს მეგობრებთან და თანამემამულეებთან ერთად ქართველთა ამ წმინდა ადგილზე — «ძმათა სასაფლაოზე». გვწამს, რომ ქართველი ერის პატივისცემა თქვენ არ მოგაკლდებათ!

**მშვიდობით! საუკუნოთ იყოს ხსენება თქვენი!**

ბ-ნ კლუშის სიტყვა \*)

რადიო «თავისუფლება»-ს კომიტეტის, ყველა სექციების და მიუნხენის მეგობრების სახელით—ნება მიბოძეთ გამოგიცხადოთ—ჩვენი ღრმა მწუხარება რაჟდენ არსენიძის—გარდაცვალების გამო.

რაჟდენ არსენიძემ მთელი თავისი ცხოვრება გაატარა დემოკრატიულ იდეალებისთვის ბრძოლაში. უკანასკნელ წლებში მისი კმაყოფილება—იყო თავისი აზრები ერისა და ადამიანის თავისუფლების—გაუზიარებია თავის თანამემამულეებისთვის—საქართველოში.

ჩვენ დაგეტოვა რაჟდენ არსენიძემ, მაგრამ ჩვენ ის არ დაგვიკარგავს—მისი იდეალი, მისდამი ხსოვნა—მუდამ დარჩება და მისი შრომა იქნება გაგრძელებული. მისი იდეალი თავისუფლებისა იქნება მიღწეული.

### სამიივრის წერილები და ღვაწლები

მიუნხენიდან: მიუნხენის რადიოსადგურის («თავისუფლება») კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი სერჟანტი თავის დეპეშაში—მზურვალე სიტყვებით იხსენიებს რაჟდენ არსენიძის თავდადებულ მოღვაწეობას რადიოში. აღნიშნავს მის ბრძოლას საკუთარ ქვეყნის განთავისუფლებისთვის და ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ. გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ რაჟდენ არსენიძის მიერ დატოვებული ბრძოლა გაგრძელდება და მისი იდეალი ერისა და ადამიანის თავისუფლებისა განხორციელდება.

მიუნხენიდან. კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი გარდაიცვალა ქართული რადიორედაქციის მთელი შემადგენლობა ქედს იხრის რაჟდენ არსენიძის ცხედრის წინაშე. ამავე დროს ჩვენ ვამაყოფთ იმით, რომ ჩვენ პატივი გვქონდა ათი

\*) ემიგრაციასთან ამერიკულ კომიტეტის კავშირის—წარმომადგენელი.

30277

წლის განმავლობაში გვემუშავნა ამ გამოჩენილ ქართველთან ერთად.—მისი მთელი ცხოვრება და მისი პატრიოტული თავდადებული მუშაობა ჩვენი ერის თავისუფლებისთვის მაგალითის მომცემი იყო, არის და იქნება, არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყოველი ქართველისთვის.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

ქართული რადიორედაქციის წევრები.

ქვირფასი ბ-ნი მამია.

ეს რა საშინელი ამბავი გვაცნობთ?

გაგვშორდა ჩვენი ეროვნული მთავრობის იუსტიციის მინისტრი, რაჟდენ არსენიძე.

ჩვენი ეროვნული დღესასწაულის 26 მაისის ჩატარების დღეს წავიკითხე რა თქვენი დეპეშა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მთლიან შეკრებულობას ბევრი უცხოელი დაესწრა. ზეიმმა დიდი მწუხარების ხასიათი მიიღო.

მე პირადად ცრემლი მომადგა თვალში. ჩემი მინისტრი, ძვირფასი ჩემი ხელმძღვანელი. პირში და ლხინში ერთად მყოფი. პიროვნება მტკიცე, გამძლე, უტეხი. რაჟდენ არსენიძემ დაგვტოვა ობლათ.

ჩვენს ბედკრულ ცხოვრებაში მისი რომელიმეტი შეცვლა შეუძლებელია.

მივსცეთ მას აღთქმა, რომ ეკლიან გზით ვივლით სამშობლოს და ერის უფლებების აღდგენისათვის, იმავე რაჟდენ არსენიძის ბილიკებით.

დღეს კი გლოვა ჩვენთვის უსახლვრა.

აღ. ყიფიანი

ინგლისში მცხოვრებ ქართველთა სახელით.

საქართველს ხ. დემ. პარ. ბიუროს უცხიკეთში.

გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში არსებული ქართული სათვისტომო გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის და დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწის რაჟდენ არსენიძის გარდაცვალების გამო.

განსვენებული მთელი თავისი სიცოცხლე თავდადებულად ემსახურებოდა ჩვენს ერსა და ქვეყანას. მისი სახელი განუყრელია ქართველი ხალხის მეოცე საუკუნის ისტორიისაგან და მჭიდროდ დაკავშირებული 1918 წელს ისევ აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოსთან.

განსვენებული ემიგრაციაშიც მხნედ იღვწოდა და მისი პუბლიცისტური წერილები და მეცნიერული ნარკვევები მნიშვნელოვანი განძია ჩვენი კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების.

იშვიათად სპეტაკი და გულუხვი ადამიანი, ყველასადმი კეთილად განწყობილი და დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნის, ჩვენს მიერ არაერთხელ ხუმრობით თქმულ ციტატაზე—ისევ

შეურიგებელი და უკომპრომისო მტერი ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა.

დადგება დრო და მადლიერი ერი ღირსეულად მოიხსენიებს თავის ღირსეულ შვილთ!

უკანასკნელი სალამი ბატონ მინისტრს!

დიდება ჩვენს ერს!

ნიკო ნაკაშიძე

თავმჯდომარე ქართული სათვისტომოს  
გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლ. ზურაბიშვილს.

სოშოს ქართველთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოასთქვამს პოლიტიკური მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის გარდაცვალების გამო.

სამძიმარს უცხადებს მის მახლობელ პოლიტიკურ მეგობრებს და პარიზის ქართულ საზოგადოებას.

სოშოს ასოციაციის თავმჯდომარე ს. ჭირაქაძე,  
მდივანი ილ. ხალუქვაძე.

ამერიკიდან. ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ საქართველოს იუსტიციის მინისტრის და უცხოეთში ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს—თავმჯდომარის, რაჟდენ არსენიძის, გარდაცვალების გამო.

პ. ვვარაცხელია, ლ. არველაძე, იხ. გაქვინია.

ხომოდან. დავსტირით საქართველოს იუსტიციის მინისტრის და პარტიის საზღვლ ბიუროს თავმჯდომარის რაჟდენ არსენიძის გარდაცვალებას.

სოშოს ს.-დ. ორგან. თავმჯდომარე ი. ხალუქვაძე.

გიურისი. დიდათ შეგვაწუხა ცნობილი ქართველი მოღვაწის რაჟდენ არსენიძის გარდაცვალებამ. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი.

ლვა ფლურ, იოლანდა მარჩვი, ვ. ნიწამიძე.

ბ-ნ ნიქვ ცინცაძეს.

ამერიკიდან. ღრმად პატივცემულო ბ ნო მინისტრო!

გაზოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი თანაგრძნობა და სამძიმარი თქვენი პირადი მეგობრის, საქართველოს ეროვნულ მთავრობის მინისტრის და დიდი საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწის—რაჟდენ არსენიძის გარდაცვალების გამო.

მარად თქვენი პატივისმცემელი პ. ნაკაშიძე.

პ. გრამიძე.

აბონდანიდან. სამუდამოთ განშორდა ამ წუთისოფელს ერთი დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე რაჟდენ არსენიძე. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ჩვენი გულითადი თანაგრძნობა და სამძიმარი რაჟდენის მეგობრებს.

კლწია და ბაბუღია ვვარჯაღაძე.



გერმანიიდან. ღრმად პატივცემულო ბ-ნო ვიდრე!

მწუხარებით ვიზიარებ აუნაზღაურებელ დიდი ქართველის, მთავრობის წევრის და საზოგადო მოღვაწის რაქდენ (მიშა) არსენიძის სააქაოდან განშორებას. ქართველობამ აქ და იქ სამშობლოში დაკარგა თავდადებული მებრძოლი, დაუღალავი მუშაკი საერთო საქმისთვის. სამწუხაროთ თანდათან მიდის სამაყუო რაზში თანამემამულეთა.

აგრეთვე მწუხარებით ვიგონებ დაუვიწყარ რუბენციფიანს, რომლის გული მუდამ მისი საყვარელი სამშობლოსათვის ფეთქდა და ერთგულად ემსახურებოდა.

იყოს სამუდამოთ მათი ხსენება.

ველაგია გეგელაშვილისა.

ქვეცივიდან. ძვირფასო მამია!

ესაა ვლბულობ თქვენს ტელეგრამას რაქდენ არსენიძის გარდაცვალების შესახებ და ვიჩქარი ამით გამოვსთქვა მწუხარება, რომ საქართველოს ტრადედია ასე გრძელდება.

მარადის თქვენი ს. შავიშვილი.

ლიონიდან. ძვირფასო მამია!

ლიონში მცხოვრებ ქართველების სახელით ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამ საქ. დემ. რესპ. იუსტიციის მინისტრის რაქდენ არსენიძის გარდაცვალების გამო. ვწუხვართ, რომ დასაფლავებას ვერ ვესწრებით.

გუნია.

მიუნხენიდან. მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა დაუღალავ მებრძოლ რ. არსენიძის გარდაცვალების გამო. ტრუფ გუნტერ.

მიუნხენიდან. ჩვენი სამშობლოსთვის—უდრეკ მებრძოლის ბატონ მინისტრ რაქდენ არსენიძის გარდაცვალების გამო ღრმა თანაგრძნობას ვუძღვნი ქართველ ერს.

ვალ. ცნამელიძე.

მიუნხენიდან. გულწრფელად ვგლოვობთ ჩვენი ძვირფასი რაქდენ არსენიძის, დიდი პატრიოტის და ერთგული მებრძოლის დაკარგვას.

მღხე იშნაიშვილი.

ამერიკიდან. შეერთებულ შტატებში სათვისტომოს წევრების სახელით გიცხადებთ სამძიმარს რაქდენ არსენიძის გარდაცვალების გამო. სათვისტ. მდივანი მენთეთაშვილი.

არგენტინიდან. თქვენთან ერთად ვგლოვობთ დიდი ქართველის რაქდენ არსენიძის დაკარგვას.

ა. ჭეიშვილი.

ხაფრანკეთიდან. ღრმად დამამწუხრა დიდი სახელმწიფო მოღვაწის და მეგობრის რ. არსენიძის გარდაცვალებამ.

გქ. ან. ჟორჟაქლიანი.

ხაფრანკეთიდან. დამწუხრებული ვარ რაქდენ არსენიძის გარდაცვალებით. უერთდები ქართველების მწუხარებას.

ა. შათირიშვილი ღჯანობით.

ამონდანიდან. დამწუხრებული ვართ ძვირფას რაქდენ არსენიძის გარდაცვალებით. გვაჭანტირამე, მელქამე, იერომე.

ამონდანიდან. გიცხადებთ ღრმა მწუხარებას ჩვენი ძვირფას ამხანაგის რაქდენის გარდაცვალების გამო. ს. ჭყვიბია.

## დავით სხირტლაძე

პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე დ. სხირტლაძე. დავითი დაიბადა ჩრდილო-კავკასიაში ქ. ვლადიკავკასში, — მღვდლის ოჯახში. ქ. სტავროპოლის სემინარიის დამთავრების შემდეგ — ის შევიდა ცნობილ დავიდოვის სახელობის იურიდიულ სასწავლებელში, რის შემდეგ ახალგაზ. და იურისტი, ის გახდა — იურისკონსულტი გროზნოს სანავთო წარმოების...

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ის ჩაეწერა მოხალისეთა ჯარში და გაემუშრა ფრონტზე — იარაღით ხელში საქართველოს დასაცავად.

საქართველოს დაცემის შემდეგ ის იყო ჩვენი დელეგაციის იურიდიული მრჩეველი ჩვენი დელეგაციების ლოზანაში და გენუაში, მან დიდი დახმარება გაუწია საქართველოს უფლებების დაცვას.

პარიზში დასახლების შემდეგ ის რამოდენიმეჯერ არჩეულ იქნა ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეთ. იყო ერთი დამაარსებელთაგანი ეროვნული საბჭოსი.

უანგარო, გულწრფელი მოღვაწე ქართული საქმის, — მიუბარა ლევილის ძმათა სასაფლაოს 1965 წ. 13 ნოემბერს, სადაც ის მიაცილა მრავალ-რიცხოვან ქართულ საზოგადოებაში.

## ვალერიან ახვლედიანი

«ვამ სოფელდ რამიგან ხარ  
რას გვარუნებ რა ხნე გვიბნა,  
ხადაუნბა ხად წაიყვან  
ხად აღუცხვრი ხადით მიბნა».

უკვდავი მოშიარის შოთა რუსთაველის ეს სტრიქონები, რა სიმკვეთრით გამოხატავს, სამშობლოს მოშორებული ქართველის კაემანს, დიდი მგოსანი დიდი წინასწარმეტყველიც ყოფილა. რვა საუკუნის მანძილზე ყველა ქართველი გადახვეწილი ურიგდება თავის ბედ-დამწვარ დასასრულს.

ამ ქვეყნიური ამოება და ადამიანის სიპატარავე მისი სურვილის მოჩვენება და ჩაქრობა, «სოფლის» მიმართ გაბედული საყვედური ამ სტრიქონებში ფოლადის სიმკაცრით უღერს.

უკვდავმა მოშიარემ ეს სიტყვები მძიმე გულის ტვირთად დაგვიტოვა. მთელი სიმძლავრით განვიცდით, როცა თანამემამულეს უცხოეთის მიწას ვაბარებთ. კიდევ უფრო ძნელია მოსმენა როცა გადმოხვეწილი ამ სიტყვებით სტოვებს ცოდვილ ცხოვრებას.

ვ. ახვლედიანმაც ამ სიტყვებით დასტოვა მაცდური სიცოცხლე. რუსთაველის სიტყვების შემდეგ გაყურდა, ძალამ უმტყუნა. მეც ველოდი მის მობრუნებას. გამოიფხიხლა და მისუსტებული ხმით ჩამარცვლა: «რა სამწუხაროა ჩემი სიცოცხლის დასასრული. ჩემი ქვეყანა ერთხელ რომ დამენახა, სი-

კვილს არაფრად ჩავაგდებდი»-ო. სიკვდილთან ახლოს მისული მეგობრის (კიბოს ავადმყოფობით) დაღუპულ სხეულს უნუ გეშო მწუნხარებით დავცქეროდი. მესმოდა მისი მისუსტებული, თითქოს სამარხიდან ამოყონილი ხმა. რამდენი სიცოცხლის წყურვილი. ამ ქვეყნიური ამოება და სიკვდილთან შეერთების შერიგება ისმოდა. მთხოვა მისი ცხოვრება დამეწერა. მისივე კარნახით ჩავიწერე ნაამბობი. სასოწარკვეთილი გრძნობა დამეუფლა. დაუსრულებელ გზაზე სამგზავროდ მივაცილებდი.

ვალერიან ახვლედიანი დაიბადა ცაგერის რაიონში სოფ. ლასხანაში 1895 წელს. პირველი სწავლა მიიღო დაბა ცაგერში. შემდეგ სწავლობდა ქუთაისში. ომის დროს გაიწვიეს ჯარში. იბრძოდა ოსმალეთის ფრონტზე. რევოლუციამ მოუსწრა «შაქრის მთასთან». ფილტვებით დაავადებული ჩამოვიდა თბილისში. როგორცკი მოიკეთა მაშინვე ჩაეწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზის დამცველ რაზმში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სარდალი ქართველი შვილი. ვ. ახვლედიანი სადგურ ზეიგაბთან 1917 წ. 24 დეკემბერს დაიჭრა თავში. გაზაფხულზე თავის სოფელში ჩასული ჩავარდა აჯანყებულ ბოლშევიკების ხელში. საიდანაც მოახერხა თავის დაღწევა და ჩამოვიდა ქუთაისში. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაგზავნეს ლეჩხუმში ცხოვების ჩამოსატანად, რაც მან ღისეულად შეასრულა.

1918 წ. დაიწყო თანამშრომლობა საგანგებო რაზმში. მალე დანიშნეს ქ. მცხეთის კომენდატით. აქედან გადაიყვანეს სანაინის კომენდატით. 1920 წ. გადაიყვანეს ქ. ლაგოდეხში. აქწითელმა ჯარის ნაწილებმა გზა მოუჭრეს. გენ. კონიაშვილის მეთაურობით გამოარღვიეს ფრონტი და დაბრუნდნენ თბილისში.

1921 წ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ვ. ახვლედიანი გადაიხვეწა სტამბოლში. შემდეგ გადასახლდა ქ. პრაგაში სადაც დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი.

1923 წლიდან ჩამოვიდა საფრანგეთში. მუშაობდა ქარხნებში. შემდეგ გაიჩინა ოჯახი და დასახლდა სოფელ ლევილში.

გარდაიცვალა 1965 წ. 11 ნოემბერს. დაკრძალულ იქნა 15 ნოემბერს ლევილის ქართულ სასაფლაოზე. მას დარჩა შვილი გიორგი, რძალი დენისი და შვილიშვილები პასკალი და ქაკი.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობამ და სოფ. ლევილის საზოგადოებამ ღირსეული პატივით მიაცილა ვ. ახვლედიანი სამუდამო საცხოვრებელ საფლავამდე. კუბო მორთული იყო უამრავი გვირგვინებით. საზოგადოება გულმოკლული გამოემშვიდობა საიმედო მეზობელს, გულწრფელ თანამემამულეს, რომელსაც გატაცებით უყვარდა ყველაფერი ქართული: თავმოყვარეობა ქართული. გული ქართული, გონება ქართული, მუდამ თავის სიმაღლეზე მდგომი, გაჭირვებულის დამხმარე...

ვ. ახვლედიანი სამშობლოს მოტრფიალე, სამშობლო მიწას მონატრული, საფრანგეთის მიწაში განისვენებს.

ნ. ყურულაშვილი.